№ 128
პარასკევი, 16 ივნისი, 1900 წ.

ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 128
პარასკევი, 16 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ფასი განცხადებისა:
ზეფულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, შეორეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეკატერინე გრიგოლის ასული ხულანიშვილისა ქალები-თურთ და კნეინა ანასტასია იესეს ასული ჩოლოყაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი საყვარელის ქმრისას, მეორენი დაუვიწყარის მამისას და მესამე ძვირფასის ძმისას ექიმის სტატსკი სოვეტნიკის

მიხეილ იესეს ძის ხულანიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის გასასვენებლად საკუთარ სახლიდგან, ელისაბედის ქ. № 31, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) და იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ შაბათს, 17 ივნისს, დილის 9½ საათზედ. პანაშვიდი—15 და 16 ივნისს, საღამოს 7½ საათზედ. (3—2)

კელაგია მიხეილის ასული სარაჯიშვილისა, ნინო მიხეილის ასული მაჭავარიანისა, კნეინა ძეთევან მიხეილის ასული ვაჩნაძისა და მიხეილ კეტრეს ძე სარაჯიშვილი, ივანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანი, თამ. კოსტანტინე ივანეს ძე ვაჩნაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი საყვარელის მამისას და მეორენი დაუვიწყარის სიმამრისას სტატსკი სოვეტნიკის ექიმის

მიხეილ იესეს ძის ხულანიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის გასასვენებლად საკუთარი სახლიდგან, ელისაბედის ქ. № 31, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) და იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ შაბათს, 17 ივნისს, დილის 9½ საათზედ.
პანაშვიდი—15 და 16 ივნისს საღამოს 7½ საათზედ. (3—2)

იყიდება კუკიის გაჯი

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპიეიკთ უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ეტსტი ექნება მიკრული ამნაირის წარწერით: „კუკიის გაჯი“.

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—3)

კვირას, 18 ივნისს 1900 წელს,

მუშტაიდში

ეუსტო და ალფ-ფასიან სასადღლის სასარგებლოდ კიამპრთუბა

სახალხო სეირნობა

ბაზრითა, მუსიკითა და ფეიერვერკით, საღამოთი ბალი გაჩირაღდნებული იქმნება.

დასწყისი ნაშ. 4 საათზედ.

შესვლის ფასი 20 კაპ.
(2—ნ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ ვედენანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ე. ი. ჯიბინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. ბაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

ვ. ბ. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ ვედენანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. ბარაკოვიჩი—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. ბეზთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და სხვრდენი—1½—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. ვედენანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—ფილტვთა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ლარიბთათვის უფასოა.

ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანშეგიდასა, № 21 (ჯორჯიტოვის ბაღდის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ ვედენანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ეუკიაში, ვორონცოვის ბაღლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობამდე:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ‖ საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. ვ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

ა. ი. ბაკელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ჯ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობამდე:

ვ. ბ. ფერეთელი, 6—8 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½,—8 საათ.

ვ. ვ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არეანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთა „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს ‖ გამართავს საექიმო გეენსტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი ექიმი ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

შაბათს, 10 ივნისს, შუადღის 12 საათზედ,

დაიკარგა

50 მანეთი, 2 ოქროს ბეჭედი

და ერთი ოქროს ძეწკვი

სულ 200 მანეთისა.

ხდრსი. სადოდის ქუჩა, სკოლის სახლი, № 17, ნ. ბრდენინსკისა.
(1—131—1)

მთავრობის განაცხადებანი

—

გადასახადთა ინსპექტორი რაჭის მაზრისა გუბერნ. სეკრ. ნ. ოდია გადაყვანილ იქმნა ლეჩხუმის მაზრის ინსპექტორად.

დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე, კოლეგესკი სეკრეტარი იოსებ მესხი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი მიხეილ აფციაური ახალ-ბაიაზეთში და ლავრენტი პიპია ბათუმში. ყველანი 1 ივნისიდგან.

სამსახურში ჩარიცხულ იქმნენ: ძველდლის შვილი სიმონ პარკაძე და დიაკვნის შვილი გაბრიელ ქართველი: შვილი, პირველი ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ, ხოლო მეორე ტფილისისაში.

ახალი ამბავი

ტფილისის ვაჟთა მე-2 და მე-3-ე გიმნაზიებში ეგზამენები უკვე დასრულდა. მე 2 გიმნაზიაში წელს დასრულა სწავლა სულ 53 ყმაწვილმა; ამათგან 15 ქართველია, 20 რუსი, 15 სომეხი, ერთი ებრაელი და ორიც აისორი. აი ქართველთა გვარები: ასათიანი მიხეილ, კოკობოვი ალექსანდრე, ყიფიანი ვახტანგ, მეგელიშვილი ირაკლი, ამირეჯიბი გიორგი, ანდრონიკაშვილი ივანე, გვერდწითელი გრიგოლ, ჯავახოვი ნიკოლოზ, კილოსანიძე დავითი, ნათიშვილი სიმონ, ნატროშვილი გიორგი, ფავლენიშვილი ივანე, პაიჭადე წიკოლოზ, პაპაიშვილი გიორგი და წერეთელი ირაკლი.

მ. ასათიანმა და ი. წერეთელმა ვერცხლის მედლები მიიღეს. ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში გათავა 17 კაცმა, ამათგან ორია მხოლოდ ქართველი: მოზდოკელაშვილი გიორგი და მეიფარიანი გიორგი; ექვსი რუსია; დანარჩენი სომხები არიან.

დღეს, 16 ივნისს, ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიას სხდომა ექმნება ქალაქის გამგეობის სადგომში. კომისიამ უნდა ამოირჩიოს ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელი ქალები, სულ 14. დღესვე ამოირჩევენ ხარფუხის სკოლის გამგესაც.

როგორც შევიტყვეთ, საერო განათლების მინისტრის ამხანაგი დ. ს. ს. ნ. ა. ზვერევი დღეს, 16 ივნისს, ბაბასუმაზში მიდის, სადაც მთელს ზაფხულს დაჰყოფს.

საერო განათლების სამინისტროს გადასწყვეტა სამოსწავლო ოლქებში დაწესოს ახალი თანამდებობანი სახალხო სკოლების დირექტორებისა, ინსპექტორებისა და კანცელარიის საქმის-მწარმოებლებისა. სულ უნდა დაწესდეს რუსეთში 6 თანამდებობა დირექტორისა, 108 ინსპექტორისა და 50—საქმის-მწარმოებლისა. კავკასიაში დირექტორის თანამდებობა არსდება ერევნის გუბერნიისთვის, ინსპექტორისა: ქუთაისის გუბერნიისთვის—2, ბაქოს გუბერნიისათვის—1. საქმის მწარმოებლის თანამდებობანი არსდება ყველა დირექციასთან. ჯამაგირი ასეთ საქმის მწარმოებელს ექმნება 600 მანეთი.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანხმობით შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაერთავს, რომ 1901 წელს კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ კავკასიის მკურნალთა მეორე კრება დანიშნოს. კრებას მრავალი საგანი წარედგინება განსახილველად და განზრახულია აპრილში მოხდეს.

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ყარსში ორი კონცერტი გაუმართავთ: 6 და 9 ივნისს. ორსავე კონცერტში მონაწილეობა მიუღია ბ-ნ კავსაძის ხოროს. 6 ივნისს კომედია „ბაიყუშიც“ წარმოუდგენიათ. ხალხი ბევრი დასწრებია ორსავე კონცერტს.

რადგანაც სიცხეები დაიჭირა, სამკურნალო-სასნიტარო ინსპექტორს ქალაქის გამგეობაში წინადადება შეუტანია, რომ 15 ივნისიდგან ყასბებს ნება მიეცეთ საკლავი ღამე დახოცონ და დილით ადრე გამოიტანონ ხოლმე ბაზარში.

ტფილისის პოლიციმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს მიწერილობა გაუგზავნია ყველა ბოქაულისათვის, რომ როგორც-კი სადმე სხვილ-ფეხი საქონელი მოკვდება, მაშინვე ქალაქის ბეითალს აცნობონ ნაკლები ბინაურის გამოსაკვლევად.

მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს გენ.-ლეიტ. ფრეზეს საადგილ-მამულო გარდასახადი უკვე დაუმტკიცებია. ამ გაწერილობით, მიმდინარე სამს წელს ტფილისის გუბერნიაში გარდაჰხდებათ სულ 71,911 მან. 90 კაპ. აქედგან ტფილისის მაზრაზედ გაწერილია 7,610 მან. 91 კ., ბორჩალოსაზედ—18,648 მ. 47 კ., დუშეთისაზედ—3,877 მ. 54 კ., გორისაზედ—20,664 მ. 39 კ., ახალციხისაზედ—6,857 მ. 6 კ., ახალქალაქისაზედ—2,468 მ. 50 კაპ., სიღნაღისაზედ—5,941 მ. 42 კ., თელავისაზედ—4,295 მ. 91 კ. და თიანეთისაზედ—1,547 მ. და 70 კ.

როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, ქუთაისის გუბერნიაში და ყარსის ოლქში ამ ღამად საქონლის ჭირი სრულიად არ არის თურმე.

საპატიმროთა მთავარ სამმართველოს განკარგულებით მთელის წლის განმავლობაში პატიმართ კასპის ზღვაზედ „კავკაზისა და მარკურიი“-ს საზოგადოებანი გადიყვანგადმოიყვანენ.

მარგანეცის მწარმოებელთა მესამე კრება, რომელიც 19 ივნისს უნდა მომხდარიყო კავკასიის სამთო მმართველობის უფროსის თანაშემწის ს. ს. ჩენგერის თავმჯდომარეობით, 26 ივნისისათვის იქმნა გადადებული.

ფინანსთა სამინისტრო ერთ ფრიად საყურადღებო პროექტის შედგენას შესდგომია. სახელდობრ ისა, თუ როგორ უნდა იქმნას გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა ვაჭრობის პირობები.

გამოვიდა მესამე ტომი ოფიციალურის გამოცემისა „გრძელ-ვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიან კრედიტის სტატისტიკა რუსეთში*. ამ გამოცემაში მოთავსებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რუსეთში ადგილ-მამულს რამდენი ვალი აქვს. ცალკ-ცალკე თითოეულს გუბერნიაში რაღამდენია და სხვ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, 1898 წელს მთელის რუსეთის კერძო მემამულეთ ჰქონიათ ბანკებისა—1,468,930,876 მანეთი; სულ დაგირავებული ყოფილა 67 გუბერნიაში 119,280,496 დესეტინიდგან 44%. ყველაზე ნაკლებ დაგირავებულია ადგილ-მამული კავკასიის გუბერნიებსა და ჩრდილოეთ რუსეთში, ყველაზედ მეტად კი—რუსეთის ცენტრალურს, სამხრეთსა, ვოლგისა და ბალტიის მხრის გუბერნიებში.

*** როგორც თელავიდგან გვატყობინებენ, თელავის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას ღირსეულად უცვნია 10 კურს-დამთავრებული მოწაფე გაეგზავნა ტფილისის სემინარიაში და თავისს მხრივ ერჩია სემინარიისმთავრობისათვის მიეღო იგინი და არა ერთი, როგორც ამას წინაზედ გვწერდნენ თელავიდგან. ეს სანო სათანადოდ როგორც სასულიერო სასწავლებლის გამგეობამ, ისე ბინამი ივანე მთეს ძე გარდინსკიმაც, რომელიც განგებ იყო გამოგზავნილი ტფილისის სემინარიიდგან ეგზამენებზედ დასასწრებლად.

*** იმ საგნის ყოველ მხრივ განხილვის შემდეგ, თუ კავკასიის სოფლებში მკურნალობის საქმე როგორ და რა ნაირად უნდა განკარგებულიყო, კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველომ შეიმუშავა პროექტი, რომლითაც განზრახულია შემდეგი: ტფილისისა, ქუთაისისა, ბაქოსი, განჯისა, ერევნისა და შავის ზღვის გუბერნიებსა და ოლქებში: ყარსისა, დღესტნისა და ზაქათალისა ში იყოლიოს: 8 სამკურნალო ინსპექტორი, 7 ამათი თანაშემწე სოფლებისათვის, 101 სოფლის მკურნალი, 101 უფროსი სამკურნალო ფერშალი და 216 უმცროსი და 111 ბებია. გარდა ამისა, უნდა გამოითხოვოს სესხი სოფლის სამკურნალოებსა, საფერშლო საგომებისა, განათებისა, გათბობისა, საზრდოობისა და სამკურნალო იარაღისა და მასალისათვის, აგრეთვე გადამდებ სენთან საბრძოლველად და სხ. ყოველ წლიურად ამ ხარჯს დასჭირდება 539,650 მან.

ამ ახალის პროექტით შემდეგს გუბერნიებში: ტფილისისა, ქუთაისისა, ბაქოსი, ერევნისა, განჯისა და ყარსის ოლქში თითოეული მაზრა ორ სამკურნალო-სასანიტარო ნაწილად იქმნება დაყოფილი, რომელშიაც იქნება თითო სამკურნალო 6 საწოლით, იმ ნაწილის სოფლის მკურნალი და ერთიც საფერშლო სადგომი. შავის ზღვის გუბერნიაში დადგენილია იყოლიონ თითო საოლქო სასოფლო მკურნალი და 7 საფერშლო სადგომი და 12-საწოლიანი სამკურნალო იქონონ. ამავე მკურნალების მოვალეობას შეიდგენს სასამართლო-სამკურნალო თანამდებობანი აღასრულონ; დღღესტნისა და ზაქათალის ოლქში განზრახულია საოლქო მკურნალის გარდა თითო სასოფლო მკურნალი კიდევ სხვა იყოლიოს და 2 სამკურნალო და 2 საფერშლო სადგომი იქონიოს თითოეულ ოლქში ისე-კი, რომ ოლქისა და სოფლის მკურნალის მოვალეობაა ერთი და იგივე კაცი ასრულებდეს.

*** სამშაბათს, 13 იანვარს, ტფილისის სადგურზედ საჯდომად გამოსულს ორთქლ-მავალს ეჯახა შეტრე ბოლიაკოვი (რაჯაბორის სტანციიდგან) თვლებ ქმენ ნაუკარდ და ორთქლ-მავალმა ფაბი ორივე ფაბი მოაწყვეტა.

*** 12 იანვარს ვიდაცამ ცხენს რვანას-ეზნის კიბოსში ჯდომის ქუთაისას

*) იხ. „ᲘᲕᲘᲠᲘᲐ“, № 127.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

„ᲠᲝᲓᲘᲡ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲡ!..“

(კტოდი)

(დასასრული*)

ამ ბრწყინვალე იმედებით შევდგ ფები ცხოვრებაშიაც... „ეტყობა კი ყმაწვილია, მაგრამ ვნახოთ, ცხოვრებაში როგორი გამოდგებაო“, მოგესმა ცხოვრების კიბის პირველ საფეხურზედვე. „ჰო, სახარე მოზვერი ულელში გამოიკნობებაო, ჯერ კიაი, მაგრამ ბოლო ვნახოთ რა ეკნებაო“ და სხვანი... ამ გვარი ფილოსოფიური ახრები ხშირად მესმოდა, ყურადღებით ვისმენდი... კრიტიკულის თვალით ვუყურებდი ჩემს ნამოკმეფარს, თვალ-ყურს ვადევნებდი ჩემის ამხანაგების მოღვაწეობას, ვეძებდი მათ იდეალურ ახრების განხორციელებას, მაგრამ, საუბედურო, რაც დრო მიდიოდა ისე ხალხის უნდობლობა თან-და-თან მართლდებოდა, ამ უნდობლობის სამართლიანობას თან-და-თან ვრწმუნდებოდი... ეი, გუშინდელი თავისუფლების მქადაგებელი ახალგაზდა, ქე მმართველების მოახრე-ქომაგი, ბოროტების ჯვარზედ გამკვრელი, დღეს ცხოვრებას სულ გამოუცვლია, როდაც ლაჩრად, შიშარა ოსებად გარდაუქნია... იმას

ᲓᲦᲔᲡ თქმისაც ეშინიან, მოქმედებისაც ეხათრება, რადაც პირადულ ინტერესებში ჩაფლულა... ეს ცხოვრებას თავისს კალამბოში ჩაუყენებია... მეორე—რომელიც შუდამ ძმობა-ეროობას ჰქადაგებდა, ყურებს გვიქექდა, —დღეს ისე გასივებულა, ისე გაბუბეოზებულა, რომ ფუფუნების მორეგში ტრიალებს, ყოველგვარს სიამოვნებას ჭკრძნობს... სიმდიდრე, სახელი, პატივი და დიდება სდულს და გადმდის... შენი უწინდელი კომუნიზმი დღეს ოცენებაშიაც აღარ გიფურთიალებს... სოულიად მიუკარებელი დიდი კაცი—ნამდვილად დიდი კაცი შექმნილა... თორმეტ საათზედ მიგიღებთ... ისიც „ლაქიის“ მოხსენების შემდეგ... შეიძლება ხანდა-ხან უარიც მემოგითვალოს „ლაქიის“ პირით, თუმცა იცის, რომ ამასთან უმაღლეს სასწავლებელში ერთად სწავლობდი... მაგრამ ან-კი ოა ჰკნას?! ღირსება ნების არ აძლევს; ცხოვრებამ ასე გაწვრთნა-გამოქნა!.. ოოხ, ღმერთო! ჰხედავ ამას და გული გიკვდება... ოცენებითაც ვერ წარმოიდგენ, რომ ადამიანი ასე გამოიცვლებაცხოვრება ასე გარდაჰქნის!? ნეტა რა არის ისეთი ცხოვრებაში, რომ ადამიანს ასე სცვლის, ასე ასხვაფერებს?! ნუ თუ ცხოვრებაშიაც იგივე ადამიანები არ გვასეევინ გარშემო, როგორნიც სასწავლებლებში?! ნუ თუ ესენი იგივენი არ არიან, რომლებთანაც ალტაცებულ ახრებს,

ძმობა ერთობა-პატიოსნეობას ვაცდ-ვგებდით, ერთმანეთს გაეკრავება ლალბინების დროს ვეგერდზე ვუდექით და საზოგადო სიხარულით ვმეიარულობდით? დღეს? დღეს? დღეს რადენი ვარო? რამ შეეგცვალა ასე? ღმერთო ჩემო? ამის პასუხის მიცემაც-კი შიშის თავზარსა მცემს, როდაც უსიამოვნო ერუანტელს მიტარეს მთელს ბეკებულობაში?.. მაგრამ იქნება იქ, იქ მაინც ვინეგეშო თავი, იქ მაინც ვნახო საიმედო ნათა-საუუდელი მეთქი... ვიფიქრე და შევტოპე ოცენების მორეგში...

„ეიი, შენ ხარ ჩემი იმედების განხორციელება, შენ, ძარტო შენ გეკუთვნის ჩემი ოოსება!“ ჩამომესმა რადაც მოსხიბლავი ხმა.

— „მეც მაგას ვეძიებ, მეც მაგის თანამგრძნობელი ვარო“, ძაწოაფლ მისაკი სიიდუვლოდვე პასუხი ჩემმა გულმა... დიდხანს ვიყავი ოცენების ნისლში გახვეული. რაც დრო მიდიოდა, ოცენების ნისლი თავიდგან შშორდებოდა და ნელ-ნელა სინამდვილეს კარები ეღებოდა... რადენი მე საათი, რამდენიმე წამიც და ის, ის განხორციელებული ჩემი იმედი მკერდში ადგილ მიმკეროდა ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲘᲬᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

თითქმის ერთი წელიწადი იქნება, რაც ჰქონდა კეტრების მოსვრობასა თანანა მიართვეს, რომ ახალ-სენგში ეთ ველ წლივ ბაზრობა გამართულიყოს ხოლმე. როგორც მოსალოდნელიც იყო, მთავრობას ეს თხოვნა კანონიერად უცქინა და შეიქმნა დაუფ ტეგებია. ბაზრობის დროდ დანიშნულია ივნისის თვე. ბაზრობა დაიწყობა ივნისის 22 სა და გასტანს თვის ბოლომდე. გასასვლელად იქნება ამ ბაზრობაში სამეგრელოს სხვა-და-სხვა კუთხე

ᲙᲐᲞᲨᲢᲐᲓᲢᲘ. საკანონმდებლო კრების წევრთ ბოტასა და ზაუერს სახელმწიფო ლალატი შესწამეს და შეიპყრეს. ბოტა კაპის ახალშენის ჰოლანდიელთა ოლქებში დადიოდა. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ომის გათავებამდე არც ერთს რაზმს აფრიკიდგან არ გაიყვანენ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. („ოქროს ნაპირი“). კუმასსისაკენ მიმავალს საექსპედიციო რაზმს დიდი წვიმები ძლიერ ხელს უშლის. მდინარეებში გასვლა შეუძლებელია.

ᲘᲝᲙᲝᲰᲐᲛᲐ. სამხედრო საქმისათვის იმპერატორმა 15,000,000 იენი ხარჯი დაამტკიცა.

ᲞᲔᲠᲚᲘᲜᲘ. როგორც ჩიფუში მყოფ საიმპერატორო კონსულისაგან მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, ტიან-ძინიდგან 14 კილომეტრის მანძილზედ სეიმურს თურმე ალყა შემოარტყეს; სეიმურს 62 კაცი მოუკლეს და 200 დაუჭრეს. ყველა მხრიდგან დიდად აფიწროვებენ. სეიმური 2,000 ჯარის-კაცს თხოულობს მისაშველებლად. ეს მიმშველი ჯარი ტიან-ძინდგან 25 ივნისს წვიდა რუსის აფიცრის უფროსობით.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. როგორც „ჰავასის საგენტო“ იუწყება, შანხაისა და გიროში მყოფი საფრანგეთის კონსულები თურმე იცნობენიან 26 ივნისს, რომ უცხოელი ელჩები პეკინიდგან უკვე წასულან; ელჩები ჩინეთის ჯარმა გაიცილაო. როგორც ფიქრობენ, დიდ კედელს უნდა აჰყოლოდნენ და შანხაიში წასულიყვნენ. კონსულები ნამდვილად იტყობინებიან, რომ ტიან-ძინი ამ ჟამად განთავისუფლებულია. ნანკინისა და განჩეტონგის ვიცე-კოროლებს დაუვალებიათ კონსულისათვის გადასცეს საფრანგეთს, რომ უცხოელ მისსიონერებსა და ვაჭრებს იანცზე-კიანგის მიდამოებში სრულს მფარველობას გაუწევენ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 13 ივნისის ბირჟა. ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებს აფასებენ 98 ად, $4^1/_2$%—88-ად; ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის 6% გირავნობის ფურცლებს აფასებენ 100-ად, 5%—98-ად.

15 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ვიცე-ადმირალი ალექსეევი სწერს სამხედრო მინისტრს პორტ-არტურიდგან 14 ივნისს: „13 ივნისის ღამეს ტიან-ძინიდგან გამოსულმა რაზმმა, რომელსაც უფროსობდა პოდპოლკოვნიკი შირინსკი და რომელშიაც იყო ოთხი ჩვენი როტა და ამდენიმე უცხო-ქვეყნისა, განთავისუფლა სეიმურის რაზმი და ტიან-ძინში მოიყვანა. სეიმურის რაზმში 200-ია დაჭრილი.

ᲡᲐᲰᲐᲚᲘᲜᲘ. ჩრდილოეთ სახალინში ხუთმა კატორგიდგან გამოქცეულმა მოჰკლეს დარაჯი ჯარის-კაცი ტხორეევსკი, სასიკვდილოდ დასჭრეს მძინარე ჯარის-კაცნი ბელოუხოვი და არდაშიროვი, მძიმედ დასჭრეს მეკარე და სუბუქად—ზედამხედველი. ბელოუხოვი და არდაშიროვი გარდაიცვალნენ. ბოროტ-მოქმედებმა იარაღი მოიტაცეს და გაიქცნენ. მათდა შესაპყრობად ყოველივე ღონისძიებაა ნახმარი.

ინგლისის ტიან-ძინელი ელჩი დეპეშით იუწყება: დეპეშა მივიღე ტაოფინის გენერალ ინსპექტორისაგან პეკინიდგან 6 ივნისს, რომელიც მაცნობებს, რომ უცხო-ქვეყნის საელჩოთ წინადადება მიეცათ წავიდნენ პეკინიდგან 24 საათის განმავლობაშო.

ᲘᲝᲙᲐᲰᲐᲛᲐ. იმპერატორმა ნებადართო სამხედრო საპირობათათვის დაჰხარჯონ 50 მილიონი იენი.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. აქაურმა ჩინელმა ელჩმა ცზუნგ-ლი იამენისაგან დეპეშა მიიღო 6 ივნისს, რომ დიდთა სახელმწიფოთთა ელჩნი და სხვანი უცხო-ქვეყნელნი პეკინში უფნებელნი არიანო. ღონისძიებაა მიღებული, რომ ისინი ქალაქიდგან გაყვანილ იქმნენ ჯარის მცველობით. ელჩებმა ითხოვეს ნება-რთვა, რომ პეკინში შემოსულიყო უცხო-ქვეყნის ჯარი საელჩოთა დასაცველად; ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა; შემდეგ ელჩებმა ითხოვეს დამცველ ჯარის გაძლიერება, მაგრამ ეს თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. ჩიფუდგან კემპფისაგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ პეკინელი ელჩები მათის დამცველ რაზმითურთ სეიმურთან იმყოფიან, ხოლო თვით სეიმური სდგას გამაგრებულს ბანაკში ტიან-ძინდგან 8 მილის მანძილზედაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პალატა. ბროდრიკი აცნობებს: ორი დეპეშა მივიღე, რომელიც კვერსა სცემს იმ ცნობას, არა ოფიციალურად მიღებულს, — რომ ტიან-ძინი განთავისუფლებულიაო. პირველს დეპეშას იწერება ტიან-ძინიდგან ჩვენი ელჩი ამ შინაარსისა: „ბრიტანეთის ხმელეთის ჯარი მაიორის მორრისის უფროსობითო, ზღვაოსანთა რაზმი კრადდოკის უფროსობითო, სულ 550 კაცი, 10 ივნისს შუადღისას მოვიდნენ; 1,500 რუსი მოვიდა ტიან-ძინის რკინის გზის სადგურზედ; მოვიდნენ აგრეთვე 150 ამერიკელი და 50 იტალიელი“. მეორე დეპეშას კონტრ-ადმირალი იუწყება ტაკუდგან: „კრადდოკი, რომელიც ბრიტანეთის რაზს უფროსობს, ტიან-ძინიდგან იუწყება, რომ ტიან-ძინთან მისვლა-მოსვლა უკვე განახლებულია 6 ივნისიდგან და იქ ჯარიც არის გაგზავნილი. მთავარ-სარდალი ტიან ძინიდგან 10 მილის მანძილზედ იმყოფება და იმის მოძრაობას აყოვნებენ ავადმყოფნი, დაჭრილნი და შეტაკებანი“. ხოლო ლონდონიმა განაგრძო: „აი, ასეთია ჩვენი ოფიციალური ცნობები, ხოლო პალატას უნდა ახსოვდეს, რომ არაოფიციალური დეპეშები, რომლებიც სხვა მხრივ ოფიციალურს ეთანხმებიან, იუწყებიან, რომ ჯარი ჩრდილოეთისაკენ წასულა, რათა დაუახლოვდეს მთავარ-სარდალსაო“.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲯᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲓ

(შემდეგი *)

ბ

ბაგბაგი—ბაბანი, კბილის კბილზედ ცემინება სიცივით. ფშ.

ბაბრი—ძალიან დიდს დათვს ეძახიან ფშავში.

ბაზო—საწყვანილე კვლებს შუა დარჩენილი ცალიერი ადგილი. ქართ.

ბარნელა—ჯოხზედ გაკეთებული ჯვარი რძის სადღვებად. ფშ.

ბარღოჯანა—ავი სული, ამ სახელით აშინებენ ფშაფში ბალღებს.

ბატისკურტუმა—ბალახია, ქართ.

ბაურა—მწერია, საქონლის შემაწუხებელი. ფშ.

ბენტერი—ჩერჩეტი, გამოსულელებული. ქართლ.

ბეგრის ჭიპა—მბალია. ქართ.

ბეკი—სპეკავი იარაღი. ფშ.

ბიგა—მინდვრის თაგვი, წვეტიან ცხვირის მქონებელი. ფშ.

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ № 127.

ბითაო—კაცი, რომელსაც გვერდის ძვლები და წინ მკერდი სულ ერთის ძვლისა აქვს. ხევსურები ამბობენ: მინდი ბითაო იყოვო.

ბირწკნილი—ფრჩხილი, ხევს. ამასვე ჰგავს მეგრული „ბირცხა“.

ბიტლი—წვრილი, ხილზედ იტყვიან, ფშ.

ბოგირა—თავწვერა, გაუთლელი, ახირებული. ქართ.

ბოეირი—აშლა, აყრა, აბობოკირა, აურია, არწივი წვრილს აბობოკირებს ხოლმე. ღრუბლები ამობოკირდნენო. ფშ.

ბორტვი—ბელტი. ფშ

ბოსლობა—ფშაფში, ხევსურეთში, თუშეთში ქალები თვიური წყლის დროს სახლში არ შვდნენ, ვიდრე არ დაირეცხებიან, და ბოსლეში სცხოვრობენ. ამიტომ დარქმეანა ასე. ფშაური.

ბოსტანა—ბოლოკი. ხევს.

ბოტტანა—დიდი, ზორბა, ღონიერი. ფშაური.

ბოყვი—მომცდარი ნაყოფი ტყემლისა, ან ქლიავ-ღოლნარშისი. ქართ.

ბოძალდი—თოფის მგაზსად სასხლეტი მშვილდ-ისარი. ფშ.

ბოწიწკობა—ფეხების მაგრად დადგმა. ფშაური.

ბრაგვანი—ტყაპანი, ძირს დაცემა. ქართ.

ბრაცენი—ფეხის ბაკაბუკი. ფშ. (?)

ბრელო—სიმინდის ფუჩეჩის რბილი ნაწილი. ქართ.

ბრეშა—ხარი როცა ხართან სამიდაოდ ემხდება, ბრეშას იწყებს. ფშ. ბღვერა ხართა და მოხვერთა.

ბრძამი—მეცენარეა კლდისა. ფშ.

ბუბენი—ხარის ყვირილი. ფშ.

ბუდნა—ხელით ჩარიგებული ლობიო ვენახში. ქართ.

ბუდარობა—ფრინველთ ბუდობის დრო. ფშაური.

ბღზალაყი—არაყის გამონახადი. ფშ.

ბუნაჭოტი—ბუკიოტი, ჰატარა ბუ. ქარ.

ბუკუკა—კოდო. ფშ.

ბულულა—ყვავილი. ფშ.

ბუნგალი—მტვერი, ბდვერი. ფშ.

ბუნნი—ბურეთ, ჩალაბული. ქართ.

ბურბუშელა—დურგალთაგან ანთალი ნაფოტი, სილნილით დახვეული. ქართ.

ბურბური—გურგური ცეცხლისა. ქართ.

ბურტყუნი—დათვის ხმაურობა. ქართ.

ბურძგალი—გინგლი, აშლილი ბეწვი. ფშაური.

ბუტაყი—მსუქანი, დიდი. მსუქან ბავშვზედ იტყვიან. ფშ.

ბუწუნება—ბუწუნის გაშლა, ან თმისა. ფშაური.

ბუჭყა—მაგარ მრრიანი მწერები სახოვადოდ. ფშ.

თ. რახიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

დიდს მადლობას გუგზავნთ მედიატორეო თავ. გრ. ნ. დასსმიძესა და ბ-ნთ ს. ი. სკანდარიოსსა და ი. ს. ალიასნოვს, რომელთაც შრომა მიიღეს და ჩვენსა და ყარსის გზის მეჯარადრეს ვ. ს. კეგასზარიოს შუა ანგარიშების გასწორებასა სამშენა სამართლიანი მსჯავრი დასდეს.

ახნ. ყარამან სვიმონის ძე კიკნაველიძე, ახნ. ბეგლარ დუტუს ძე შენგელაია და ზუგდიდის ვაჭარნი: ალექსი ივანეს ძე კილასონია და ანტონ ივანეს ძე ფიფია

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

—

რედაქციამ მიიღო ახნ. ყარამან სვიმონის ძის კიკნაველიძისა, ახნ. ბეგლარ დუტუს ძის შენგელაიასა და ზუგდიდის ვაჭრების ალექსი ივანეს ძის კილასონიასა და ანტონ ივანეს ძის ფიფიისაგან 40 მანეთი მცხეთის საკათედრო ტაძრის განსაახლებლად, 40 მანეთი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის შეწირვის ასაშენებლადა და 40 მანეთი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საჯარგებლოდ, სულ 120 მან. ფული დანიშნულებისამერ გადაეცა.

ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ

1 ივნისისათვის 1900 წლისა.

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ.

	მან.	კაპ.
I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . .	9935	26
II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში	100	—
III. „ „ „ა. ფრიდლონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში	124	54
IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი.		
ა) უზრუნველ-ყოფილნი: 1776—26		
ბ) არა უზრუნველ-ყოფილნი: 3999—95	5776	21
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი	3121	38
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი	243685	48
VII. განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ	2774	25
VIII. პროტესტში წასული თამასუქები	505	—
IX. გირაოთი გაცემული სესხი:		
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 12554—62		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ. ქაღალ. 42581—		
გ) საქონელზედ . . . . . 21905— —		
დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3286—25	80326	87
X. დასაბრუნებელი ხარჯი	137	61
XI. მოწყობა-მომართვა	2034	48
XII. კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) . .	3962	63
XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი .	149	27
XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები	254	93
XV. გარდასაცემი თანხა	945	85
XVI. მიმდინარე ხარჯი	5831	50
ს უ ლ	359665	26

ᲞᲐᲡᲘᲕᲘ.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 785 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან.	81721	—
II. სათადარიგო თანხა	3917	29
III. შემოტანილი ფული:		
ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 90372—95	—	—
ბ) ვადით . . . . . 120827——		
გ) უვადოდ, ... 1620——.	212819	95
IV. გარდასაცემი თანხა	2811	43
V. გარდასახდელი სარგებელი	427	31
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	66	66
VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 ᲗᲐ 13 §§-ის თანახმად.	300	—
VIII. კორესპონდენტები ჩვენის ანგარიშ. (nostro). . .	1091	73
IX. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	20100	—
X. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში . . .	20001	38
XI. წაუღებელი დივიდენდი:		
ა) 1898 წლისა . . . . . 1224—34		
ბ) 1899 წლისა . . . . . 4257—77	5482	11
XII. მიღებული სარგებელი	10602	42
XIII. 1900 წლ. მოგებისა და ზარალის ანგარიში .	323	98
ს უ ლ	359665	26
პასუხის-მგებლობა 785 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდასახ.	735489	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება.	5200	—
თამასუქები საკომისიოდ	1046	40.

(1—5.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲫᲔ